

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №53
2019 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

„საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების და ჩაბარების წესის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტის და დაბრუნებული (გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების და ჩაბარების წესის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტის და დაბრუნებული (გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/04/2018, 010250000.35.148.016476) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ მუხლი:

„**მუხლი 1¹.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს“ (ს/კ 418471068).“;

ბ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² მუხლი:

„**მუხლი 1².** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღებია გორის მუნიციპალიტეტის მერი.“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

საჯარიმო ქვითარს (ოქმს) ავსებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს“ (ს/კ 418471068)“ დირექტორის მიერ უფლებამოსილი პირი.“;

დ) დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს“ (ს/კ 418471068) (შემდგომში – უფლებამოსილი პირი) მიერ შესადგენი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა



კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის (ოქმის) წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

